# სახალხო გაგეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 874

დამატების № 154

შაბათი, 20 აპრილი 1913 წ.


## ამ ოხერლე

**ვიცენტე ბლასკო იბანიესისა.**

„პოლიტიკურთა განყოფილების“ ერთად-ერთი მდგმური ჟურნალისტი ჟუან იანიესი, ხმელ ლოგინზე გულაღმა გაშხლართული, უაზროდ მისჩერებოდა დამსკდარ ჭერს და ჰფიქრობდა, ამაღამ სამი თვე იქნება, რაც დამატუსაღესო.

ცხრა საათია... გარეთ სიჩუმეს არღვევს საკრავის ხანგრძლივი ხმა; დერეფნებში—დარაჯთა ერთნაირი და გაზომილი ფეხის ხმა; ჩაკეტილ მაგრამ ადამიანებით სავსე ოთახებიდან რაღაც გუგუნი ისმის, თითქოს სამჭედლოს საბერველი ხრიალებსო ან კიდე მძინარე მდევი ხვრინავსო. ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ ძველ, საპყრობილედ გადაკეთებულ, მონასტერში, ამ უზარმაზარ სადა უხმო შენობაში, რომელიც მკრთალ სინათლეში კიდევ უფრო დიდი მოსჩანს, ათას ადამიანს ეძინოს.

საბრალო იანიესი ვალდებულია ცხრა საათზე ლოგინში ჩაწვეს; ლოგინი კი ისე აქვს მოწყობილი, რომ სანათი მუდამ პირდაპირ თვალებში უნათებს. გარშემო კი საშინელი სიჩუმეა. ასეთ მდგომარეობაში ვინ არ იწამებს, რომ არსებობს სიკვდილის სამეუფო! წევს საბრალო იანიესი და ჰფიქრობს, რა ძვირად უჯდება მას კანონის შეურაცყოფა. წყეული კანონის მუხლი! ყოველი მისი სტრიქონი პატიმრობის კვირად უზის, ყოველი სიტყვა—დღედ.

იანიესს გაახსენდა, რომ დღეს საღამოს იწყება ოპერის წარმოდგენები, „ლოენგრინით“, მისი საყვარელი ოპერით; გაახსენდა და ერთბაშად წარმოუდგა თვალწინ ლოჟების წყებეები და მათში ქალების ტიტველი მხრები, მათი ბრჭყვიალა და მშვენიერი კისრები, ძვირფასი თვლებით დამშვენებულნი, მბრწყინავ აბრეშუმის ტალღებსა და სირაქლემას ჰაეროვან ფრთებს შორის.

ცხრა საათია... სწორედ ეხლა იწყობა წარმოდგენა გამოდის გედი და პარსიფალის შვილი პირველად გამოსცემს ხმას, გრძნობა მორეული ხალხი კი სულგანაბულია... ის კი აქ არის! სულ უბრალო და ცუდ ოპერასაც კი მოკლებული.

მაგრამ არა; იანიესი ისმენს ოპერას და არც ისე ცუდს. ქვემოდან, თითქო მიწის სიღრმიდან, მარტოხელა ტუსაღის ოთახიდან ისმის ხმა. იგი ამ ხმით ამცნებდა მას თავის არსებობას, ეს ტყის ნადირი, მხეცი, მთის ცხოველი, რომელსაც ურიცხვ მკვლელობისათვის წამის წამზე მოელოდა სიკვდილით დასჯა. ეს იყო ძველ ლურსმნებისა და კლიტების წკარუნის მსგავსი ბორკილთ რახუნი, რომელსაც დროგამოშვებით სუსტი ხმა ერთვოდა. დეუის კალთაში დასაძინებლად გამზადებულ ბავშვის მორიდებულ და მომუდარე კილოზე იმეორებდა ეს ხმა: „მა...მაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა ში...ნა... წმი...დაო... მღვთისიმშობელო“... იმეორებდა გამუდმებით ამ ერთ გალობას, და შეუძლებელი იყო მისი გაჩუმება.

უმეტესობის აზრით, ამით სიგიჟის დამტკიცება უნდოდა და სიკვდილისგან გადარჩენა. მაგრამ, თოთხმეტი თვის განმავლობაში მარტოობამ და ყოველ წამს სიკვდილის მოლოდინმა „იქნება მართლა დაუბნელა ისედაც ბნელი გონება ამ საბრალო პირუტყვს.

იანიესი წყევლით იხსენიებდა იმ ხალხს, რომელიც რაღაც რამდენისამე, ისიც ცუდ გუნების წამს დაჯღაბნილ, სტრიქონის გამო იძულებულ ჰყოფდა ყოველ ღამ სიკვდილით დასასჯელ ადამიანის ბოდიის ნანინაზე ძილს. ერთბაშად ხმა მაღლა ლაპარაკი მოესმა და აჩქარებული ფეხის ხმა სწორედ იმ სართულში, სადაც თითონ იმყოფებოდა.

— არა, მე აქ არ დავიძინებ?—გაიძახდა აკანკალებული ჭყვირალა ხმა.

— დამნაშავე ვინმეხომ არა ვარ? მართლმსაჯულების ისეთივე მოხელე ვარ, როგორც თქვენ... ⇐ მასთან

**ჭლექი და მასთან ბრძოლა**

**ჭლექი და ფლოტი**

(რაოდენობა ჭლექით დაზოცილებისა იმის დამიხედვით, თუ სად არიან მეზღვაურები—ზღვაზე თუ ხმელეთზე.

**ჭლექი და მასთან ბრძოლა**

**ლექი და ლოთობა**

(რამდენი კვდება ჭლექით ლოთობის მიზეზით).

## ჭლექი და მასთან ბრძოლა

**ჭლექი და ქონება**
(რაოდენობა ჭლექით დაზოცილებისა ქონების მიხედვით).

ათის წლის უანკარო სამსახური მიმიძღვის. იკითხეთ აბა ნიკომედესი: მთელი ქვეყანა ძიცნობს,—გაზეთებშიაც კი სწერენ ჩემ შესახებ. საპყრობილეში მომიყვანეს და კიდე უნდათ სადღაც ჭერში შემაგდონ და ისეთ ადგილას დამაძინონ, რომელიც საბორკილესაც არ ეკადრება. დიდად გმადლობთ! განა ამისთვის დამიბარეს?.. მე ავადა ვარ და აქ არ დავიძინებ. ექიმი გამომიგზავნონ, მე ექიმი მჭირია!..

მიუხედავად სრულებით უიმედო მდგომარეობისა ჟურნალისტს გაეცინა ამ საცოდავის ჩივილის ხმაზე, რომლითაც ოც-და-ათის წლის ნამსახურევი ექიმს ითხოვდა.

ისევ მოისმის რამდენიმე ხმა, თითქო რაღასაც მსჯელობდნენ; ფეხის ხმა უფრო და უფრო ახლოვდებოდა, და აი გაიღო „პოლიტიკურთა განყოფილების“ კარი და გამოჩნდა ოქრომკედ შემოვლებული ქუდი.

— დონ-ჟუან,—სთქვა ზედამხედველმა ცოტა არ იყოს შინაურულის კილოთი,—ამაღამ „კამპანიაში“ ყოფნა დაგჭირდებათ... მაპატიეთ, თუ შეიძლებოდეს, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის: გაჭირვებაა... დილას კი რამე განკარგულება იქნება. შეგძანდით... „სინიორ“—უნდა გაგეგონათ, რა დაცინვის კილოთი იყო ნათქვამი ეს სიტყვა.

„სინიორი“ შემოვიდა ოთახში ორის ტუსაღის თანხლებით: ერთს ჩემოდანი ეჭირა ხელში, დაკეცილი საბანი და დასაკეცი საწოლი, მეორეს—ტომარა, რომელშიაც განიერ და დაბალის ყუთის კუთხეები იხატებოდა.

— საღამო მშვიდობისა, კაბალიეროო.—ახალმოსული მეესალმა თავმდაბლად იმ მორიდებულის ხმით, რომელმაც ცოტა ხნის წინად გააცინა იანაიესი, მოიხადა ქუდი და გამოიჩინა პატარა, წმინდად გაპარსული ჭაღარა თავი. ეს იყო სქელი, გაჭარხლებული ორმოც-და-ათის წლის კაცი. მოსასხამი აგერ-აგერ ჩამოუვარდება მხრებიდანო, გეგონებოდათ, და მრავალ წვრილ ნივთსა და შანას, რომელიც ჩამოეკიდნა საათის მსხვილ ძეწკვზე, ყოველ განძრევაზე წკარუნი გაუდიოდა. მისი ჰაწაწინა თვალები მოლურჯო ფოლადის მსგავსად ბრწყინავდნენ, ტუჩები კი კითხვითი ნიშანის მსგავსად დაგრეხილ აშვერილ ულვაშებს მოეკუმათ.

— ნებას მომცემთ?—სთქვა მან და ჩამოჯდა.— შეგაწუხეთ, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის. დღეს მოვედი ღამის მატარებლით და ვნახე, რომ საწოლ ოთახად თაგვებით სავსე ჭერი მომცეს. სწორედ რომ კარგი მოგზაურობაა!

— ტუსაღი ხართ?

— ამ წამს, დიაღ,—ღიმილით მომიგო,—მაგრამ დიდ ხანს არ შეგაწუხებთ ჩემის აქ ყოფნით.

და ღიპიანმა მოქალაქემ მიიღო თავმდაბალი და მოწიწებითი სახე, თითქო ბოდიშს იხდიდა, რომ სხვისი ადგილი დაისაკუთრა საპატიმროში.

იანიესი დააჩერდა: უკვირდა ამნაირი მორიდება. ნეტა რა სულიერია?—და მის თავში ქარიშხალივით გაიარა ათასმა გიჟმა და გაურკვეველმა ფიქრმა, წარმოდგენამ, რომელნიც თითქო ერთმანერთს მისდევდნენ და ერთმანეთს ეძებდნენ, რათა ერთი რამე აზრი წარმოეშვათ.

ერთბაშად შორიდან მოისმა დამწყვდეულ მხეცის საცოდავი ხმა: „მამაო ჩვენო“... და ჟურნალისტი ნაკბენსავით ფეხზე წამოხტა, თითქო ... ეხლა მოვიდა გონს და მოიკრიბა დაბნეული აზრი, ახალ-მოსულის ფეხებთან დაგდებულ ტომარას რომ შეაჩერა თვალი.

— რა გაქვთ მაგაში?.. მაგ ყუთში... იარაღია?

ის თითქო ყოყმანობდა, მაგრამ შეკითხვის ბეჯითმა კილომ გააბედვინა და ბოლოს თავის დაქნევით ანიშნა, ჰოო. დამყარდა ხანგრძლივი და მძიმე სიჩუმე. ტუსაღები ლოგინს მართავდნენ ამ ადამიანისათვის ოთახის კუთხეში. იანიესი დაშტერებით უცქეროდა თავის ახალს თანამცხოვრებს, ის კი იჯდა თვალებ დაშვებული და შემოხედვას ერიდებოდა.

როდესაც ტუსაღებმა გამართეს ლოგინი და გავიდნენ, ზედამხედველიც გავიდა და გარედან ჩაკეტა კარი. სიჩუმე არ ირღვევოდა. ბოლოს, ახალ მოსულმა ძალა დაატანა თავს და სთქვა:

— ცუდი ღამე დაგიდგათ ჩემს გამოისობით, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის: „იმათ“ დამაბინავეს აქ. ვიცოდი, რომ პატიოსანი ადამიანი ბძანდებით და ჩემზე უარესი თანამცხოვრები თქვენთვის ამ სადგომში არავინ მოიპოვება, და ამიტომ უარს ვამბობდი აქ დაბინავებაზე.

ასეთმა თავის დამცირებამ ცოტა არ იყოს გული მოულბო ყმაწვილს.

— არა, სენიორ, მე ყველაფერსა ვარ ჩვეული,—სთქვა მან დაცინვის კილოთი კარგი ნაცნობობა იმართება, რომ ერთი მეტი აღარაფერს ნიშნავს. გარდა ამისა, ცუდი ადამიანი არ მეჩვენებით.

ჟურნალისტი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო ნორჩ ახალგაზდობაში წაკითხულ რომანტიულ ნაწარმოებთა გავლენისაგან, და ამიტომ ასეთი ახირებული შეხვედრა თითქო რაღაც სიამოვნებასაც ჰგვრიდა.

— მე ბარცელონაში ვცხოვრობ,—განაგრძობდა მოხუცი,—მაგრამ აქაური ჩემი თანამოხელე ლოთობისაგან გარდაიცვალა ამას წინად, და გუშინ სასამართლოში რომ მივედი, პოლიციის მოხელემ მითხრა:—„ნიკომედეს“... ნიკომედეს ტერრუნიო მქვიან —არ გაგიგონიათ ეს სახელი?.. საკვირველია, ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იხსენიება.

—„ნიკომედეს, ბატონ თავმჯდომარის ბძანებისამებრ ამაღამვე უნდა ჩაჯდე ღამის მატარებელში.“ აქ იმ განზრახვით მოვედი, რომ სასტუმროში ჩამომხტარვიყავ და იქ დავრჩენილიყავ იმ დღემდე, ვიდრე საქმეზე მიმიწვევდნენ. და, აჰა, სადგურიდან აქ მომათრიეს; მერე როგორის სიფრთხილით... ბოლოს აღარც ეს მაკმარეს და თაგვებთან დამაბინავეს... გაგიგონიათ ასეთი რამ? ასეთი მოქცევა მოხელეთადმი, სამართალის მსახურთან?...

— დიდი ხანია სამსახურში ხართ?

— ოცდა ათი წელიწადი, ბატონო ჩემო.—

## ჭლექი და მასთან ბრძოლა

**ჭლექი და სიმაღლე ადგილის**

(რაოდენობა ჭლექით დაზოცილებისა, იმის დამიხედვით, რა სიმაღლეზე სცხოვრობს ადამიანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭლექი და მასთან გრძოლა




**ჭლექი და ციხე**
(რამდენი კვდება ჭლექით ათას კაცში ციხეში და გარედ)

**ჭლექი და ფანჯრები**
(რაოდენობა დახოცილთა იმის მიხედვით, თუ რამდენი ფანჯარა აქვს ბინას)

— ჯერ კიდე იზაბელა მეორის მეფობის დროს დავიწყე სამსახური. ჩემს ხელობაში უხუცესი მე ვარ ⁄ ჩემს კლიენტებს შორის პოლიტიკურებიც არიან. ამაყად შემიძლიან ვსთქვა, რომ ყოველთვის სინდისიერად ვასრულებდი ჩემ მოვალეობას. ეხლანდელი ასმეორე იქნება. ბევრია, არა? ყველას კი საუკეთესოდ ვეპყრობოდი: ვერც ერთი ვერ იტყვის ჩემს ძვირს. ბევრნი უკანასკნელ წამს რომ დამინახავენ დამშვიდდებიან ხოლმე და ამბობენ: „კარგია რომ შენა ხარ, ნიკომედეს“.

იანიესი ყურადღებით უსმენდა, და „მოხელეც“ უფრო გათამამდა.

— ცოტა გამომგონიცა ვარ:—იარაღს მე თითონ ვაკეთებ და რაც შეეხება ღირსებას, უკეთესი არ იქნება... გნებავთ, გასინჯეთ თქვენ თითონ?

ჟურნალისტი წამოვარდა ლოგინიდგან, თითქო გაქცევას აპირებსო.

— არა, დიდად გმადლობთ, მჯერა... და ზიზღით შეხედა მის წითელსა და მსუქან ხელის გულს.

ეს სიწითლე და სიმსუქნე იქნება იმ ნაკეთობის შედეგია, რომლის „სიუცხოვესაც“ ამბობდა.

იანიესის თვალში ეს ხელები ადამიანის ქონითა და იმ ასის მსხვერპლის სისხლით გაჟღენთილს ჰგავდა, რომელნიც მის „კლიენტებს“ შეადგენდნენ.

— კმაყოფილი ხართ მერე თქვენის ხელობის?— ჰკითხა იანიესმა რათა ლაპარაკის საგანი გამოეცვალა და დაევიწყებინა მისი მანქანა.

— მეტი რა გზაა!.. უნდა [illegible]ევურიგდე. ერთად-ერთი ნუგეში ის არის, რომ სამუ[illegible]ალებულობს. მაგრამ რა საშინელია ეს ლუკმა პური!.. [illegible] ცოდეთ!..

გაჩუმდა და იატაკს [illegible]ა.

— ყველა ჩემი წინა[illegible]ა!—განაგრძო შემდეგ.—მრავალი კომედია მინახავს, უნდა მოგახსენოთ. მინახავს, ძველ დროის ზოგი მეფე რომ ყოველგან თავისისავე მართლმსაჯულების აღმასრულებელის თანხლებით დაიარებოდა. მეფის განაჩენის აღმასრულებელი წითელ ტანისამოსში იყო გამოწყობილი და მხარზე ცული ჰქონდა. ის მეფის მეგობარი იყო და მრჩეველი, და ასეც უნდა ყოფილიყო. მართლმსაჯულების აღმასრულებელი, მე მგონია, წარმოადგენს მაინცა-და-მაინც რამეს და ღირსია ცოტად თუ ბევრად პატივისცემასა. ჩვენს დროში კი ყველგან და ყველაფერში ფარისევლობა და პირმოთნეობა გამეფდა. როდესაც ბრალმდებელი რაც შეუძლიან სცდილობს და რაღაც პატივსადებ მიზეზების გამო ბრალდებულის თავს ითხოვს, ყველა გაიძახის, სწორეა ეგრე უნდაო; მაგრამ შევუდგები თუ არა შემდეგ მის განკარგულების აღსრულებას, ყველანი პირში მაფურთხებენ და შეურაცხმყოფენ. აბა, თქვენ თითონ ბძანეთ, ბატონო ჩემო, სიმართლეა ესა?.. სასტუმროში თუ შევედი, გარედ მაგდებენ, გაიგებენ თუ არა, ციხეცა ვარ. ქუჩაში ყველა ერიდება ჩემს მოკარეებას და თვით სასამართლოშიაც ჩემს გასამრჯელოს გადმომიგდებენ ხოლმე, თითქო ისეთივე მოხელე არ ვიყო, როგორიც ისინი არიან, ან ჩემი ჯამაგირი სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში არ შედიოდეს... ყველა ჩემი წინააღმდეგია! და მერე... დაუმატა ძლივს გასაგონის ხმით,—კიდე სხვა მტრები... ისინი! გესმით? აი ისინი, რომ მიდიან, რათა აღარ დაბრუნდნენ, მაგრამ ბრუნდებიან მაინც; ის ასი კაცი, რომელთაც ისე ნაზად ვეპყრობოდი, როგორც მამა; ვსცდილობდი, რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი მიმეყენებინა... ⁄ რომელნიც... უმადურები! მოდიან ჩემთან, როგორც კი დაინახავენ, რომ მარტოდ დავრჩი.

**ჭლექი და ბინა**
(რაოდენობა ჭლექით დახოცილთა იმის და მიხედვით, თუ რამდენ ოთახიანი ბინა აქვს ადამიანს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ?.. ბრუნდებიან?

— ყოველ-ღამ. არიან ისეთები, რომელნიც დიდად არ მტანჯავენ. ბოლონდელები,—ესენი იმდენად ცოტას, რომ გუშინდელ მეგობრებათ მიმაჩნია, უწინდელები კი, ისინი, რომელთაც პირველ ხანებში .. როდესაც მშიშარად მიმაჩნდა თავი და ავღელდებოდი ხოლმე, ისინი ნამდვილი ქაჯები არიან. ჩამიგდებენ ხოლმე თუ არა მარტოხელს ბნელაში, იმ წამსვე დამწკრივდებიან ჩემს გულის ფიცარზე, ყელში მიქერენ, მახრჩობენ და თვალებში მცემენ თავიანთ სუდარის კალთებს. ყველგან მსდევენ და, რაც უფრო ვბერდები, უფრო ხშირად მოდიან და უფრო დიდხანს რჩებიან ჩემთან. აი იქ, ზემოდ რომ ამიყვანეს, ვხედავდი, როგორ წამოვიდნენ ყველა ბნელ კუთხეებიდან. იმიტომაც იყო ექიმს რომ ვთხთულობდი: ავად ვიგრძენი თავი, სიბნელის შემეშინდა, სინათლეზე გამოსვლა მინდოდა და ხალხის დანახვა.

— მუდამ კი მარტო ხართ?

არა, ოჯახი მყავს იქ, ბარცელონასთან,—ოჯახი, რომლისგანაც არ მინახავს არასოდეს წყენა: ძაღლი, სამი კატა და რვა დედალი. მათ არა იციან-რა ჩემი და იმიტომ პატივსა მცემენ, ვუყვარვარ ისე, თითქო ისეთივე ადამიანი ვიყო, როგორც ყველა სხვა. ნელ-ნელა უზრუნველად ბერდებიან ჩემთან. ჩემს ღღეში არ დამიკლავს არც ერთი ქათამი: გული მიმდის სისხლის დანახვაზე.

ყველაფერ ამას ისევ იმ მისუსტებულისა, თავმდაბალისა და საბრალო ხმით ამბობდა, როგორც პირველში.

— არც არასოდეს არ გყოლიათ ოჯახი?

— მეე?.. მყავდა, როგორც ყველას! თქვენ ყველაფერს მოგიყვებით, კაბალიერო. აი რაცახანია აღარავის არ ველაპარაკები!..

ექვსი წელიწადია რაც მომიკვდა ცოლი. არ გეგონოთ, ლოთი სულელი დედაკაცი ყოფილიყოს, როგორიც უნდა იყოს ვითომ მწერლების აღწერილობისამებრ ჯალათის ცოლი. ის იყო ახალგაზდა ქალი შვილი ჩემ სამშობლო ქალაქიდგან. ჯარში სამსახური რომ გავათავე, დავბრუნდი და შევირთე. გვეყოლა ქალ-ვაჟი; პური ნაკლები, სრული სიღატაკე და—აბა რა ენებავთ მეტი? ახალგაზდა ვიყავი, ცოტა ხასიათიც ტლანქი მქონდა და, აჰა, მოვხვდი ამ სამსახურში. არ გეგონოთ, რომ ადვილი ყოფილიყოს ჩემთვის ამ სამსახურში შემოსვლა: ამისათვის სხვა გავლენაც კი იყო საჭირო. პირველში სიამოვნებას მგვრიდა ხალხის ზიზღი: ვამაყობდი, რომ შიშის ზარსა ვსცემ ყველას და ვეზიზღები. ბევრ სასამართლოში ვასრულებდი ჩემს თანამდებობას; მთელი შიდა ისპანია მოვიარეთ, მინამ ბოლოს ბარცელონაში არ მოვხვდი. რა საუცხოვო დრო იყო! საუკეთესო ჩემს სიცოცხლეში: ხუთის თუ ექვსის წლის განმავლობაში არც ერთხელ არ დამჭირვებია ჩემ ხელობის გამოყენება. პატარა ფული მოვაგროვე და პატარა სახლად ვაქციე, რომელიც ქალაქის მახლობლად შევიძინე. მეზობლები პატივსა სცემდნენ დონ ნიკომედესს, სიმპატიურ სენიორს, სასამართლოს მოხელეს. ჩემი შვილი, ღვთის ანგელოზი, მშრომელი, მშვიდი და წყნარი, ერთ სავაჭრო სახლში მსახურობდა; ქალი—როგორ ვსწუხვარ, რომ მისი სურათი თან არა მაქვს!—ნამდვილი ქერუბინი დიდის—დიდის ცისფერის თვალებით და ოქროს თმიანი; ჩვენ ბაღში რომ დასეირნობდა, სწორედ ერთ-ერთ იმ სენიორიტას მოგაგონებდათ, ოპერებში რომ გამოდიან, და ბარცელონაში ისე ვერ გაივლიდა, დედა მის რომ წაყვებოდა ხანდახან, რომ ვინმე ყმაწვილი კაცი არ ადევნებოდა. საქმროცა ჰყავდა: ჩინებული ყმაწვილი, რომელიც ცოტა ხანში ექიმი უნდა გამხდარიყო. ეგ მისი და დედა მისის საქმე იყო: მე თითქო ვერც კი ვხედავდი ვერაფერს, ბოლო ხანს უნდა გამომეჩინა მამაბრიკი სიყვარული... ოჰ, ღმერთო, რა ბედნიერნი ვიყავით!

ნიკომედესს ხმა უფრო და უფრო უკანკალებდა; მოცისფრო პატარა თვალები თითქო გაუშავდა. არა სტიროდა, მაგრამ მსუქანი სასაცილო ტანი უთრთოდა, როგორც ბავშვს, რომელიც ცრემლსა ჰყლაპავს და სცდილობს ტირილი შეიკავოს.

— მაგრამ გაჩნდა ერთი ვიღაც უბედური, რომელმაც რამდენიმე დიდი ქურდობა ჩაიდინა. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, და ისევ დამჭირდა ჩემ ხელობას დავბრუნებოდი სწორედ იმ დროს, როდესაც თითქმის გადავიწყებული მქონდა. ო, რა დღე იყო! ნახევარმა ქალაქმა მიცნო საჯალათოზე და ერთმა ჟურნალისტმა—ეს ვაჟბატონები ხომ ჭირზე უარესნი არიან, თქვენს გარდა, რასაკვირველია—მთელი ჩემი წარსული გადაშალა და ისე აგვწერა ფელეტონში მე და ჩემი ოჯახი, ვითომც რაღაც უნახავი მხეცები ვყოფილიყავით, თუმცაო, ირწმუნებოდა თავის ნაწერში, გარეგნად სრულებით პატიოსან ხალხს გვანანო. მოდაში შევედით, მაგრამ რა მოდაში! მეზობლებმა ჩემს დანახვაზე ფანჯრებისა და კარების დაკეტვა დაიწყეს და, თუმცა ქალაქი დიდია, ყველგან მცნობილობდნენ ქუჩაში და ლანძღვა-გინებით მაცილებდნენ. ერთხელ, შინ რომ დავბრუნდი, ცოლი გაგიჟებულსავით დამხვდა. ქალი, ჩვენი ქალი!.. საბრალო გალურჯებული და დამახინჯებულის სახით იწვა ლოგინში—ისეთი მშვენიერი კი იყო!—ენა კი სრულებით გათეთრებოდა. თავი მოეწამლა, მოეწამლა ფოსფორით და უსაშინელესს წვალებას ითმენდა რამდენისამე საათის განმავლობაში ჩუმად, ხმა-ამოუღებლივ, შველამ არ მომისწროსო... და ვერც მიუსწრო! მეორე დღეს აღარ იყო. თავდავიწყებამდის უყვარდა ახალგაზრდა ექიმი, მე კი ჩემის თვალით წავიკითხე ბარათი, რომლითაც ის უარს ეუბნებოდა ჩემს ქალს არ შეგირთავ, რაკი გაიგო, ვისი შვილიც იყო. მე არ დამიტირნია ჩემი ქალი: განა დრო მქონდა ამისათვის? მთელი ქვეყანა ამხედრდა ჩვენს წინააღმდეგ, უბედურება კვალ და კვალ გვსდევნიდა ყველგან; ის მყუდრო კუთხე, რომელიც გავიჩინეთ ჩვენთვის, დაირღვა ბ დაიქცა. ჩემი შვილი... ისიც დაითხოვეს სავაჭრო სახლიდან, ბ ამაო იყო ახალის ადგილის ძებნა ან დახმარების თხოვნა. აბა, ვინ გასცემს ხმას ჯალათის შვილს? საბრალო! თითქო მისი ნება იყო დაბადებამდე მამა ამოერჩია თავისთვის! რა მისი ბრალი იყო, ისეთის პატიოსანის და კეთილის, რომ მე გავაჩინე ქვეყნად? საბრალო სახლიდან არ გადიოდა და დაღონებული, დის სიკვდილით გულ-მოკლული ბაღის კუნჭულში ემალებოდა ხალხს. - რას დაფიქრებულხარ, ანტონიო?—ვკითხავდი ზოგჯერ.

— ანიტაზე ვფიქრობ, მამა.

საბრალო მატყუილებდა. ის იმას ჰფიქრობდა თურმე, რომ ჩვენ საშინლად ვსტყუვდებოდით, როდესაც ჩვენი თავი ისეთივე მიგვაჩნდა, როგორიც ყველა სხვა იყო, და როდესაც ვბედავდით გულში ბედნიერ ცხოვრების სურვილის გატარებას. საშინლად ჩაგვწიხლა ბედმა, ადგომა შეუძლებელი იყო. ანტონიო გაჰქრა.

— და არა იცოდით რა შვილის შესახებ?—ჰკითხა იანიესმა, გატაცებულმა ამ ბნელის მოთხრობით.

— დიაღ, მთელის ოთხის დღის განმავლობაში. მეხუთეზე ბარცელონის მახლობლად წყლიდან ამოიღეს! გასივებული, დამახინჯებული, ბადეს მოჰყოლოდა. დანარჩენს მიხვდით ალბად კიდეც. ჩემი მოხუცებული დედაკაცი ნელ-ნელა ესალმებოდა სააქაოს, თითქო შვილები ეტანებოდნენ ზემოდან, მე კი, საზიზღარი, უგრძნობელი, დავრჩი აქ მარტოკა, სრულებით მარტო, იმ ნუგეშსაც კი მოკლებული, რომელსაც ლოთობა იძლევა, რადგან, დავთვრები თუ არა, მოვლენ ისინი, „ისინი“, გესმით, ჩემი მდევნელები, უშველებელ შავ ყორნებსავით დაიწყებენ თავიანთ შავ სუდარების ფრიალს და ჭკუაზე შემშლიან, და მაშინ სიკვდილიც მომენატრება... მაგრამ მიუხედავად ამისა სიძულვილი არა მაქვს მათი. საბრალონი! კინაღამ ვსტირი, საჯალათოზე რომ ვხედავ მათ. სულ სხვაა ისინი, ვინც ბოროტად მომექცა. მთელი ქვეყანა რომ ერთ ადამიანად იქცეს, ყველა იმ უცრობთ, რომელთაც თავისის სიძულვილითა და ზიზღით ცოლ შვილი წამართვეს, რომ ერთი კისერი ჰქონდეთ და ხელში ჩამივარდებოდნენ, ოჰ, როგორ გავლესავდი ჩემს ცულს!.. რა სიხარულით...

ბოლო სიტყვები თითქმის ყვირილით წამოიძახა, ფეხზე წამოხტა და ისე ძალზე გაიქნია ხელი, ვითომც თავის იარაღის ტარი სჭეროდეს ხელში. ეს აღარ იყო უწინდელი მორიდებული, ხმა წვრილი ღიპიანი არსება:

თვალთაგან სისხლის წვეთების მსგავსი წითელი ნაპერწკლები სცვივოდა, ულვაშები აებურძგნა და ტანიც როგორღაც გაეზარდა, თითქო გაიღვიძა მასში მძინარე მხეცმა და საშინლად გაიზმორა.

საპყრობილეს სიჩუმეში უფრო და უფრო გარკვევით გაისმოდა მტანჯველი ხმა: „მამა...ო...ჩვე...ნო..., რომელი ხარ ცა...თა...შინა...“

დონ ნიკომედეს არ ესმოდა ეს ხმა. გაშმაგებული დადიოდა ოთახში, და მის ფეხ ქვეშ ზანზარი გაჰქონდა იატაკს, რომელიც იმავე დროს მისის მსხვერპლის ჭერიც იყო. ბოლოს, ყური დაუგდო ქვეიდან მომავალ კვნესას.

— როგორა სტირის საბრალო!—წაილუღლუღა მან.—თავშიაც არ მოუვა, რომ აქა ვარ, მის ზემოდ!

ძალმიხდილი ჩამოჯდა და დიდხანს იჯდა გაჩუმებული, მინამ მისმა ფიქრებმა, მისმა ვნებათ ქცეულმა წინააღმდეგობის სურვილმა არ აალაპარაკა ისევ.

— დიაღ, სენიორ, მე ვიცი, რომ ცუდი კაცი ვარ და რომ ყველას უნდა ვეზიზღებოდე. მაგრამ გულს მიწვავს და მაჯავრებს ულოდიკობა, გაუსჯელობა. თუ სიბოროტეს ჩავდივარ და უკანონობას, მოსპონ სიკვდილით დასჯა, და სიმშილით ამომხდება სული და ჩავძაღლდები სადმე. მაგრამ თუ სიკვდილით დასჯა საჭიროა პატიოსან ხალხის კეთილდღეობისათვის, მაშინ მე რაღათ ვძულვარ ყველას? ბრალმდებელი, რომელიც დამნაშავის თავს ითხოვს, არაფერს წარმოადგენს უჩემოდ, უადამიანოდ, რომელიც მის ბძანებას ასრულებს; ყველა ჩვენ ერთ და იმავ ჩარხის ნაწილები ვართ, და, ღმერთმანი ერთისა და იმავე პატივისცემის ღირსნი ვართ, რადგან მეც მოხელე ვარ... რომელსაც ოცდა-ათის წლის პატიოსანი სამსახური მიმიძღვის...

**ივ. ზ—შვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა“.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.